საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის
II კურსის დოქტორანტი
სოფიო ლობჟანიძე

ხელმძღვანელი - პროფესორი თამაზ სანიკიძე

ვარშავის ძველი სინაგოგის

არქიტექტურის ისტორიისათვის

რეფორმისტული იუდაიზმის სიმბოლო - ვარშავის ძველი, დიდი სინაგოგა, რომელიც XIX საუკუნის პოლონეთის ერთ-ერთ ღირშესანიშნავ და შთამბეჭდავ არქიტექტურულ ნაგებობას წარმოადგენდა, აღარ არსებობს. ვარშავის ცენტრში, ტლომაცკის ქუჩაზე მდებარე, 1878 წელს აგებული სინაგოგა, 1943 წლის 16 მაისს ნაცისტებმა ააფეთქეს; ამით გერმანელებმა განახორციელეს ვარშავის გეტოს განადგურების ბოლო აქტი.

პოლონეთის დედაქალაქში - ვარშავაში, ებრაელთა თემის პირველი დასახლების პერიოდად მიჩნეულია XIV საუკუნის დასასრული[1]. ვარშავაში ებრაული მოსახლეობის, XIV საუკუნის ბოლოდან გამოჩენას ადასტურებს ყველაზე უადრესი - 1414, 1483 წლების დოკუმენტური მასალა, სადაც საუბარია ვარშავაში მათთვის ცხოვრების აკრძალვის შესახებ[2]; მიუხედავად ასეთი აკრძალვისა, XVI-XVIII საუკუნეებში, ებრაული ოჯახები, მაინც სახლდებიან ვარშავაში და მის შემოგარენში - ზოგი უკანონოდ,ზოგი კი ნაწილობლივ ლეგალურად.

1765 წლისთვის ვარშავაში 2519 ებრაელი ცხოვრობდა, რომელთა უმეტესობა 1768 წელს, ჰაიდამაკების თავდასხმის გამო, მეზობელ ქალაქებში დასახლდნენ. 1792 წლისთვის მათი რიცხვი კვლავ იზრდება 6750 ადამიანამდე, რაც ვარშავის იმდროინდელი საერთო მოსახლეობის რაოდენობის 9.7 პროცენტი იყო.

1805 წელს, ვარშაველ ებრაელებს თავს ესხმის მტრულად განწყობილი პოლონელი მოსახლეობა, რომლებიც აპროტესტებდნენ, XVI-XVIII საუკუნეებში, ვარშავაში „უკანონო“ ებრაულ დასახლებებს. 1807 წელს ნაპოლეონ I-ის გადაწყვეტილებით შეიქმნა ვარშავის საჰერცოგო; მანვე გამოსცა ბრძანება ებრაელთა სრულფასოვან მოქალაქეებად აღიარების თაობაზე; თუმცა, ერთი წლის შემდეგ, ებრაულ მოსახლეობას კვლავ დაუწესეს რიგი შეზღუდვები, კერძოდ, მათ უფლებას არ აძლევდნენ, სურვილისამებრ, დასახლებულიყვნენ ვარშავის სხვადასხვა ქუჩაზე.

---

1. Дубнов С. М. Краткая история евреев, Ростов-на-Дону, Феникс, 2000
2. КЕЭ, том 1, кол. 609–614б Обновлено: 21.08.2006

1809 წელს გამოიცა ბრძანება, რომლის საფუძველზე შეიქმნა სპეციალური ებრაული კვარტალი, სადაც ებრაელებს მიეცათ ცხოვრების უფლება, ასევე უძრავი ქონების განკარგვის, ვაჭრობისა და საბანკო საქმის წარმოების საშუალება; ამავდროულად, ებრაელებს დაეკისრათ შემდეგი ვალდებულებების შესრულება: ევროპული ტანსაცმლის ტარება, პოლონური, გერმანული ან ფრანგული ენების აუცილებელი ცოდნა და ბავშვებისთვის განათლების მიღება მხოლოდ პოლონეთის საჯარო სკოლებში.

1815-1915 წლებში, პოლონეთში რუსეთის მმართველობის დროს, ვარშავა ხდება ევროპაში ერთ-ერთი უდიდესი ებრაული ცენტრი; 1864 წლის მონაცემებით ვარშავაში 73 ათასი ებრაელი ცხოვრობდა, 1882 წელს კი 130 ათასი, ხოლო 1914 წლისთვის მათმა რიცხვმა 337 ათას მიაღწია (მოსახლეობის საერთო რაოდენობის 38%). XIX საუკუნიდან მნიშვნელოვნად ფართოვდება ებრაული თემის ეკონომიკური საქმიანობა; ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, როგორც პოლონეთის საბანკო სფეროში, ისე ვაჭრობასა და მრეწველობის სხვადასხვა სექტორში (მაგ: 1847 წელს 20 ვარშაველი ბანკირიდან 17 ებრაელი იყო). ებრაელთა ეკონომიკური აღმავლობის პარალელურად, მძაფრდებოდა მათ მიმართ ვარშავის მოსახლეობის სოციალური წინააღმდეგობებიც. ამავდროულად, მიმდინარეობდა ებრაელთა ასიმილაციის ინტენსიური პროცესი ადგილობრივ მოსახლეობასთან (განსაკუთრებით ახალგაზრდებისა); XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ვარშავის გაქრისტიანებულმა ებრაელებმა ისეთ მაღალ პროცენტულ მაჩვენებელს მიაღწია, რაც არ ფიქსირდება აღმოსავლეთ ევროპის არც ერთ სხვა ქალაქში.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, ვარშავაში ფეხს იკიდებს ჰასიდიზმი[3];

XIX საუკუნის ბოლოდან იწყება ვარშავაში სიონისტური მოძრაობის[4] მიმდევართა ორგანიზაციების ჩამოყალიბება.

---

3. ებრაული მოძრაობა. დაფუძნებულია კაბალას (ივრითი קַבָּלָה – მიღება) მოძღვრებაზე, რომელიც ორთოდოქსი ებრაელების დიდი ნაწილისთვის, სულიერი სამყაროს შესწავლის მეცნიერული მეთოდის ავტორიტეტული სწავლებაა.
4. (ებრ. צִיּוֹנוּת) - რეაქციულ-ნაციონალისტური მოძრაობა, რომელიც წარმოიქმნა სხვადასხვა ქვეყნის ებრაულ ბურჟუაზიაში XIX საუკუნის დასასრულს; 1897 წელს დაარსდა „მსოფლიო სიონისტური ორგანიზაცია“, რომლის მთავარი მიზანი იყო მსოფლიოს ყველა ებრაელის გადასახლება პალესტინაში და იქ ებრაელთა სახელმწიფოს შექმნა.
   სიტყვა „სიონიზმი“ მომდინარეობს იერუსალიმის ერთ-ერთი სახელიდან- „სიონი“ (იერუსალიმთან არსებული სიონის მთის სახელწოდება). პირველად ამ სიტყვას, თავის პუბლიკაციაში, 1893 წელს, იყენებს ფილოსოფოსი ნათან ბირნბაუმი (1864-1937).

სიტყვა „სიონიზმი“, მოძრაობის საყოველთაოდ აღიარებულ სახელად იქცა პირველი მსოფლიო სიონისტური კონგრესის შემდეგ, სადაც ჰერცლმა თავის გამოსვლაში ნაციონალური მოძრაობა ამ სიტყვით მოიხსენია.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, ყალიბდება ჰასქალური[5] მოძრაობა (ცენტრი - ბერლინი) მხარდამჭერთა მცირერიცხოვანი ჯგუფით, ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული მდიდარი ებრაელით დაკომპლექტებული; ვარშავის ებრაული ინტელიგენციისადმი, მათი მთავარი მოწოდება იყო, აქტიურად ჩართულიყვნენ ევროპაში მიმდინარე კულტურულ პროცესებში.

ჰასქალური იდეოლოგია ქადაგებდა აზროვნების თავისუფლებას და სამოქალაქო თანასწორობას. იგი ძალისხმევას არ იშურებდა, დაენგრია გეტოს[6] ყრუ კედლები და ებრაელები მსოფლიო კულტურის მიღწევებისათვის ეზიარებინა. მოძრაობის წევრები, აგრეთვე პროპაგანდას უწევდნენ ჩვეულებრივი ცხოვრების წესს. ისინი აკრიტიკებდნენ დრომოჭმულ ტრადიციებს, უარყოფდნენ ტრადიციული ცხოვრების წესს, რომელიც მთლიანად რელიგიური დოგმებით იყო გაჯერებული. მათი კრიტიკის საგანს წარმოადგენდა აგრეთვე თალმუდი, ებრაელთა ისტორიის ტრადიციული ინტერპრეტაცია და რაბინული ხელისუფლება. ჰასქალები ცდილობდნენ ებრაულ საზოგადოებაში დაენერგათ დემოკრატიული იდეალები.

---

5. ჰასქალა - „ებრაული განათლება“

6. გეტო (ვენეც. gheto, ლათ. GLĬTTU[M]) - არემარე, რაიონი, სადაც ხალხი სპეციფიური რასის ან ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით ან ვიწრო კულტურული, რელიგიური ნიშნით ცხოვრობს, როგორც ჯგუფი, ნებით თუ ძალდატანებით, გარე სამყაროსგან სხვადასხვა ხარისხის იზოლაციით. სიტყვა „გეტო“ პირველად გვხვდება ვენეციურ გეტოსთან მიმართებაში და აღნიშნავდა ადგილს, სადაც ებრაელებს ევალებოდათ ცხოვრება. მოგვიანებით ეს სახელი დაერქვა უბნებს სხვა ქალაქებშიც, სადაც ებრაელები ცხოვრობდნენ. შესაბამისი გერმანული ტერმინია Judengasse; მაროკოულ-არაბულ ენაზე გეტოებს „მელაჰს“ უწოდებდნენ.

   დღესდღეობით ტერმინს ზოგადი მნიშვნელობა მიენიჭა და ნებისმიერ, უკიდერესად ღარიბ ქალაქურ უბანს აღნიშნავს. ბოლო დროს მან მკვეთრად ნეგატიური მნიშვნელობა მიიღო და მისი ხმარება რასობრივი, ეთნიკური და კულტურული არატოლერანტობის ნიშნად მიიჩნევა. ამიტომ, მის ალტერნატივად იყენებენ უფრო ნეიტრალურ გამოთქმებს, როგორიცაა მაგ. „ეკონომიკურად განუვითარებელი რაიონები"

ჰასქალას მოძრაობის წევრებმა, მოსე მენდელსონის[7] თაოსნობით, გადაწყვიტეს, ვარშავაში, ორთოდოქსული იუდაიზმის სინაგოგებისგან განცალკევებით, გაეხსნათ ღმერთის თაყვანისცემის სახლი; 1802 წელს, დანილოვიჩოვსკის ქუჩაზე, ქალაქის რატუშის (მერიის) შენობის უკან, გაიხსნა ე.წ. „ძველი გერმანული სინაგოგა“. როგორც ჩანს, მრევლის მრავალრიცხოვნობამ, დღის წესრიგში დააყენა უფრო დიდი სამლოცველოს აშენება და 1843 წელს, „ძველი გერმანული სინაგოგის“ ადგილზე ააგეს ე.წ. „ახალი გერმანული სინაგოგა“; თუმცა, რამდენიმე წლის შემდეგ, როგორც მისმა წინამორბედმა, ვერც ამ ახალმა სინაგოგამ დააკმაყოფილა მლოცველთა და ჰასქალას მოძრაობის მიმდევართა რაოდენობა.

მასშტაბური და დიდი ზომის სინაგოგის მშენებლობა, რა თქმა უნდა მოითხოვდა სოლიდურ ფინანსებს, რისი მოძიების საშუალებაც გააჩნდა ჰასქალას მოძრაობას იმ ბანკირების, მდიდარი იურისტების, ექიმებისა და მეწარმეების სახით, რომლებიც გაერთიანებულები იყვნენ ჰასქალას „გუნდში“. დაფინანსების საკითხის მოგვარების შემდგომ დაიწყო ახალი სინაგოგისთვის ადგილის შერჩევის უმთავრესი ეტაპი (ებრაული ტრადიციის თანახმად, ადგილი, სადაც სინაგოგის მშენებლობა დაიგეგმებოდა, უნდა ყოფილიყო ქალაქში/დასახლებულ პუნქტში ყველაზე მაღალი და გამორჩეული, ხოლო თავად სინაგოგა კი ყველაზე დიდი ნაგებობა სხვა, მის გარშემო მდებარე შენობებთან შედარებით).

ახალი სინაგოგის მშენებლობის შესახებ, ლუდვიგ ნათანსონმა[8], პირველი განაცხადი გააკრთა დანილოვიჩოვსკის ქუჩაზე სინაგოგის მშენებლობის კომიტეტის წევრების წინაშე (აღნიშნული კომიტეტი, 1970 წელს გადაკეთდა „სინაგოგის მშენებლობის კომიტეტად“), 1859 წლის 5 სექტემბერს, რასაც ერთსულოვანი მხარდაჭერა მოჰყვა; დაიწყო მშენებლობისთვის საჭირო სახსრების მოძიება და სინაგოგისთვის

---

7. მოსე მენდელსონი (1729-1786 წწ.) ებრაელი ფილოსოფოსი, ბიბლიური ტექსტების მთარგმნელი, კრიტიკოსი, ჰასქალური მოძრაობის დამფუძნებელი და სულიერი ლიდერი. უწოდებდნენ „გერმანელ სოკრატეს“. მენდელსონის იდეებმა დიდი გავლება იქონია XIX საუკუნეში, გერმანიაში ჩამოყალიბებულ რეფორმისტულ იუდაიზმზე. მან კარგად იცოდა ბიბლიის ებრაული ენა და ეწეოდა მის პოპულარიზაციას. მას მოსწონდა ბიბლიის ებრაულის მაღალფარდოვანი სტილი და რიტმული წყობა და ხელი მოჰკიდა წიგნების წერას ამ ენაზე. მენდელსონმა ბიბლიის ებრაულზე დაწერა „განმარტებები"და „იერუსალიმი".
8. ებრაული წარმოშობის, რუსეთიდან ჩამოსული პოლონელი ექიმი და საზოგადო მოღვაწე. ლუდვიგ ნათანსონი იყო მთავარი ინიციატორი და დამფუძნებელი ვარშავაში ებრაისტიკის ცენტრალური ბიბლიოთეკის.

რეპრეზენტატული ადგილის შერჩევა. სინაგოგის მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებით, 1860 წლის 20 სექტემბერს, კომიტეტმა თხოვნით მიმართა ადგილობრივ ხელისუფლებას, რაც რეაგირების გარეშე დარჩა.

1861 წლის თებერვალში, კომიტეტმა კვლავ გაუგზავნა პეტიცია ვარშავის ხელისუფლებას, რასაც დადებითი პასუხი მოჰყვა, მხოლოდ ერთი პირობით - სინაგოგა უნდა აშენებულიყო ებრაელთა დასახლებასთან ახლოს.

სინაგოგის მშენებლობის ადგილის გამოყოფასთან დაკავშირებით, სინაგოგის მშენებლობის კომიტეტმა, ადგილობრივ ხელისუფლებას შესთავაზა ჰასქალთა მოძრაობის წევრებისთვის მისაღები რამდენიმე ლოკაცია; მათ შეარჩიეს ძირითადად ვარშავის ცენტრალური ქუჩები - ბელიანსკი და შვენტოერსკი (ან დლინოი). მშენებლობის ნებართვის გამცემმა - „მაგისტრანტმა“, თავის მხრივ, კომიტეტის წევრებს წარუდგინა საკუთარი მოსაზრება; ბელიანსკის ქუჩაზე სინაგოგის მშენებლობისთვის ადგილის გამოყოფასთან დაკავშირებით, „მაგისტრანტმა“ შესთავაზა კოსოვსკის სასახლის ძველი ადგილი; ვინაიდან, მითითებული ადგილი დასახლების სიღრმეში და ქუჩის ბოლოს იყო, იგი კომიტეტისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. რაც შეეხება, დლინოის ქუჩაზე სინაგოგის აშენებას - მათ შორის წერილების საფუძველზე ირკვევა, რომ ეს ვარიანტიც „მაგისტრანტმა“ დაიწუნა: დლინოის ქუჩაზე ერთადერთი თავისუფალი ადგილი წმინდა სამების საკათედრო ტაძართან ახლოს მდებარეობდა, დაუშვებელი იყო მართმადიდებლურ ეკლესიათან, დაახლოებით 170 მეტრში, ებრაული საკულტო არქიტექტურული ნაგებობის აშენება. უცნობია, თუ რა მიზნით მიიღო გადაწყვეტილება ვარშავაში მშენებლობებზე ნებართვის გამცემმა, სინაგოგა აშენებულიყო მხოლოდ შვენტოერსკის ქუჩაზე, თუმცა ის კი ცნობილია, რომ კომიტეტი არ დაეთანხმა ამ შემოთავაზებას და კიდევ ერთხელ წარუდგინა ახალი წინადადება - დანილოვიჩის ქუჩაზე ადგილის გამოყოფასთან დაკავშირებით, რასაც ქალაქის ხელისუფლება არ თანხმდებოდა. კომიტეტმა ბოლო თხოვნით ადგილობრივ ხელისუფლებას ტლომაცკის ქუჩასთან დაკავშირებით მიმართა; 1872 წლის 5 მაისს, შეძლებულმა ებრაელმა ჯოზეფ ზიმლერმა, წინასწარ, საგანგებოდ ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტის მიზნით, შეიძინა XVII საუკუნეში აგებული ორი სახლი (რომლებიც შემდგომ დაანგრიეს) და მნიშხივის სასახლის 11 ათასი კვადრატული მეტრის ბაღი. ასეთმა წინდახედულმა ქმედებამ შედეგი გამოიღო; ვარშავის ხელისუფლებამ გაითვალისწინა არსებული გარემოება და მისაღებად მიიჩნია აღნიშნული ლოკაცია სინაგოგის მშენებლობისთვის.

სინაგოგისთვის ადგილის შერჩევის ტრადიციას ებრაელები რომ უმიშვნელოვანეს ფაქტორად მიიჩნევდნენ და მას საგანგებოდ იცავდნენ, ვარშავის ძველი, დიდი

სინაგოგის მშენებლობის ნებართვის მიღების თორმეტწლიან მცდელობაშიც ნათლად აისახა.

ვარშავის ძველი სინაგოგის ისტორიის ერთ-ერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი ეპიზოდია არქიტექტურული კონკურსის გამოცხადება, მიმდინარეობა და შედეგები. სინაგოგის არქიტექტურული პროექტების პირველი კონკურსი 1872 წლის 11 ივლისს დაიწყო; კონკურსანტებს, სხვა რთული მოთხოვნების შესრულებასთან ერთად, უნდა გაეთვალისწინებით შემდეგიც - არ უნდა მომხდარიყო, ნაგებობის მშენებლობის სრულყოფილად დასასრულებლად გამოყოფილი თანხის - 150 ათასი რუბლისთვის გადაჭარბება. 1873 წლის 1 მარტს დასრულდა განაცხადების მიღება და შემოსული ექვსი არქიტექტურული ნამუშევარი შესაფასებლად გამოიფინა ხელოვნების ეროვნულ გალერეაში. კომისიამ პირველ ადგილზე გამოავლინა ორი გამარჯვებული - ბრონისლავ ჟიხოვსკი და თეოფილე ლემკე. ორივე ავტორს ჯილდოდ გადაეცა, ფულადი პრემია 750 – 750 რუბლი. ხოლო, კონკურსანტს - იან კანცპერ ჰოირიხს, რომელიც მეორე ადგილის მფლობელი გახდა, გადაეცა 300 რუბლის ფულადი პრემია. მიუხედავად იმისა, რომ სინაგოგის მშენებლობის კომიტეტის წევრებმა სამივე პროექტი ასე თუ ისე მოიწონა, მაინც არცერთი აკმაყოფილებდა მათ მოთხოვნებს.

კონკურსზე წარმოდგენილი იყო სინაგოგის კიდევ ორი, ნეომავრიტანული სტილის არქიტექტურული პროექტი. აღნიშნული პროექტები არსად გამოქვეყნებულა, უფრო მეტიც, არც შეუნახავთ. ცნობილია მხოლოდ ნამუშევრების ავტორები: იან კაცპერ ჰოინრიხი და ეჟი ვოკლია. იან კაცპერ ჰოინრიხის პროექტი „ებრაელებმა“ ასე შეაფასეს: „სინაგოგის ფრონტონი გემოვნებითაა შესრულებული ნაგებობის ცენტრში წარმოდგენილი, შემაღლებული გუმბათის მეშვეობით, ხოლო თითოეულ მხარეს კი მაღალი კოშკურებია“. რაც შეეხება ეჟი ვოკლიას ნაგებობის არქიტექტურულ კონცეფციას, კომისიის დასკვნა შემდეგია: „მართალია მისი პროექტი ჯილდოს გარეშე დარჩა, საერთო ჯამში, იგი მაინც მიჩნეულია ყველაზე ღირებულ ნამუშევრად; ჩვენთვის მიუღებელი აღმოჩნდა მხოლოდ ერთადერთი მიზეზით - არ იქნა ჩვენს მიერ, სინაგოგის ასაშენებლად, დაწესებული თანხის გათვალისწინება და საგრძნობლად გადააჭარბა დადგენილს“.

1873 წლის ივლისში, კვლავ გამოცხადდა, ტლომაცკის ქუჩაზე სინაგოგის მშენებლობასთან დაკავშირებული არქიტექტურული პროექტების კონკურსი. მეორე კონკურსში თავდაპირველად გაიმარჯვა ეგვიპტურ სტილში დაპროექტებულმა, სტანისლავ ადამჩევსკის ნამუშევარმა. თუმცა, სინაგოგის მშენებლობის კომიტეტმა აღნიშნულ პროექტს მხარი არ დაუჭირა.

საბოლოოდ, ჰასქალურმა მოძრაობის ლიდერებმა, ვარშავის დიდი სინაგოგის არქიტექტურული პროექტი დაუკვეთა ცნობილ ვარშაველ არქიტექტორს ლეანდრო იან მარკონის[9] (1834-1919).

1874 წლის 3 იანვარს მარკონის პროექტს, ხელი მოაწერა რუსეთის სამეფო კარის მთავარმართებელმა, გენერალმა ფიოდორ ბერგმანმაც. ამ ფაქტით დასრულდა ვარშავაში, რეფორმისტული იუდაიზმის სიმბოლოს, დიდი სინაგოგის მშენებლობისთვის საჭირო მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება და დაიწყო მისი აღმშენებლობა.

1876 წლის 14 მაისს გაიმართა დიდი ზეიმი და ქვაკუთხედის დადგმით მოინიშნა სინაგოგის ადგილი. სინაგოგის მშენებლობის დაწყებისას, საძირკველში მოათავსეს კაფსულა სინაგოგის ისტორიის შესახებ პოლონური და ებრაული (ივრითზე დაწერილი) ტექსტით.

სინაგოგის მშენებლობა ორი წელი მიმდინარეობდა. კედლების ასაშენებლად საჭირო აგურის და ქვის მიწოდება უზრუნველყო დანილოვიჩევსკის ქუჩაზე მდებარე გერმანული სინაგოგის[10] მფლობელმა კაზიმირ რანზოვმა. თუმცა, სინაგოგის ასაშენებლად საკმარისი არ აღმოჩნდა ის თანხა, რაც მის დასასრულებლად იყო განსაზღვრული. სინაგოგის მშენებლობის კომიტეტის წევრებმა მოახერხეს შეძლებული ებრაელების დარწმუნება, რათა მათ მოეწერათ ხელი იპოთეკურ ობლიგაციებზე და ასევე, გაეცათ სხვა ტაძრებში შეგროვებული შემოწირულობა. ამ ფორმით მოხერხდა საჭირო თანხის მობილიზება და სინაგოგის სამშენებლო სამუშაოების დასრულება. ვარშავის დიდი სინაგოგის მშენებლობაზე გაწეულმა მთლიანმა ხარჯმა შეადგინა დაახლოებით 200 ათასი რუბლი.

სამწუხაროდ, დღემდე უცნობია ვარშავის დიდი სინაგოგის სრული არქიტექტურული პროექტი; ცნობილია მხოლოდ პირველი სართულის ანუ ე.წ. „პარტერის“ და იარუსის ანუ ქალთა გალერიის გეგმები, რომლებიც გამოქვეყნდა 1902 წელს, პოლონურ გაზეთში „არქიტექტორი“[11]

---

9. იტალიური წარმოშობის, პოლონელი არქიტექტორის ჰენრიკ მარკონის შვილი. ჰენრიკ მარკონი იყო ყველაზე ცნობილი არქიტექტორი XIX საუკუნის პირველი ნახევრის პოლონეთში.
10. კაზიმირ რანზოვმა აღნიშნული სინაგოგა XIX საუკუნის ბოლოს თეატრად გადააკეთა.
11. Bergman Eleonora. „Nie masz bóżnicy powszechnej“ Synagogi i domy modlitwy w Warszawie od końca XVIII do początku XXI wieku. Warszawa, Wydawnictwo DiG, 2007

ვარშავის ძველი, დიდი სინაგოგის საზეიმო გახსნა გაიმართა 1878 წლის 26 სექტემბერს, როშჰაშანას (ებრაელთა ახალი წელი) დღესასწაულზე. გადმოცემით, საზეიმო ცერემონიალში მონაწილეობა მიუღია რუსეთის მეფის წარმომადგენელს გრაფ პაველ კოცებუს, რომელსაც არ გაუპროტესტებია ისააკ ცილკოვის მიერ პოლონურ ენაზე წარმოთქმული მისალოცი სიტყვა; რაც ნიშნავდა სინაგოგაში პოლონურ ენაზე ქადაგებაზე თანხმობას. ჰენრიკ ნათანსონს[12] შეუსრულებია ძირითადი რიტუალი - სჯულის კიდობნის წინ სანთლების ანთება, როგორც მარადიული სინათლის სიმბოლო.

ვარშავის ძველი სინაგოგა გეგმაში ლათინურ ჯვარს წააგავდა. ნაგებობა აგებული იყო კლასიციზმის სტილში ამპირისა და რენესანსის მრავალრიცხოვანი ელემენტებით. სინაგოგა სიგრძეში ყოფილა 64 მეტრის.

ებრაული ტრადიციით, სინაგოგათა მთავარი ფასადი იერუსალიმისაკენ უნდა იყოს მიმართული და შესაბამისად, სხვა ევროპული სინაგოგების მსგავსად, ვარშავის დიდი სინაგოგის მთავარი/საპარადო შესასვლელიც აღმოსავლეთ მხარეს იყო მოქცეული.

სინაგოგის შესასვლელი წარმოადგენდა დიდი ზომის, კლასიკურ ოთხსვეტიან პორტიკს. ფასადის ფრიზს ამშვენებდა ივრითზე შესრულებული მოოქროვილი წარწერა: „სახელი, რომელიც ამ ქოხს სტუმრობს, სახელი ღვთისა, დაე, ჩვენს შორისაც დაისადგუროს სიყვარულმა და ძმობამ, სიმშვიდემ და ურთიერთგაგებამ“. სინაგოგის მთავარი შესასვლელის თავზე იყო კიდევ ერთი პოლონური წარწერა, რომელიც ვარშაველი მოსახლეობის კრიტიკის საგანი გახდა, ალბათ იმიტომ, რომ რუსეთის მეფე, ალექსანდრე მეორე, მოხსენიებული იყო პოლონეთის მეფედ[13].

ვარშავის ძველი სინაგოგა გამოირჩეოდა, როგორც ფასადთა მრავალფეროვანი გაფორმებით, ისე ინტერიერის მორთულობით. ნაგებობის არქიტექტურული კონცეფციის მაღალმხატვრულ აქცენტს წარმოადგენდა გუმბათი; ბალუსტრადების მწკრივით გარშემოკრულ, შენობის დამაგვირგვინებელ ზედნაშენ, კვადრატულ კოშკურაზე დადგმული ცენტრალური გუმბათი, სინაგოგას წარმოაჩენდა ტლომაცკის ქუჩის დომინანტ ნაგებობად. ბელვედერის მარჯვენა და მარცხენა ფრთაზე დადგმული ყოფილა საშუალო ზომის ქანდაკებები.

---

12. ჰენრიკ ნათანსონი (1820-1895 წწ.) - პოლონელი ბანკირი, ბიბლიოგრაფი, გამომცემელი
13. „На хвалу единому Богу за господство Александра II Царя Всея России Короля Польского“

სინაგოგის ფრონტონზე მოთავსებული ყოფილა დეკალონის ორი დაფა.

ვარშავის სინაგოგის, როგორც დომინანტ, მასშტაბურ და გამორჩეულ ნაგებობას, ხაზს უსვავს კიდევ ერთი დეტალი - გუმბათის თავზე დადგმული გვირგვინი, რაც, როგორც ჩანს, მთავარი და ყველაზე დიდი სინაგოგის სიმბოლური დატვირთვის მატარებელი უნდა ყოფილიყო.

ნაგებობის მთავარი კორპუსი დაფარული ყოფილა მეტალის, მოლივლივე სახურავით.

სინაგოგის შესასვლელის ორივე მხარეს იდგა არატიპური ხუთტოტიანი მენორა[14].

ვარშავის ძველი, დიდი სინაგოგის შიდა სივრცე ორ ნაწილად იყოფოდა - მთავარ სამლოცველო დარბაზად და ქალთა გალერეად. მთავარი სამლოცველო დარბაზი გეგმაში წარმოადგენა მართკუთხედს, ზომით - 29X33 მეტრი. გვერდითა ნავების სიგრძე იყო 8.5 მეტრის, ხოლო შუა ნავის კი 10.5 მეტრის.

ნაგებობის შესასვლელის თავზე იყო ჰენრიკ რეიხმანის დაკვეთით გაკეთებული სპილენძის მოოქროვილი, წარწერიანი ბურთი, სინაგოგის მშენებლობის ამბის შესახებ.

მამაკაცებისთვის განკუთვნილი იყო ე.წ. პარტერის დიდი სამლოცველო დარბაზი, ხოლო ქალებისთვის კი ცალკე გალერეა, რომელიც მოწყობილი იყო სამხრეთის და ჩრდილოეთის მხარეს და წარმოადგენდა მეორე სართულის ე.წ. იარუსს.

სინაგოგის შიდა სივრცეში, მთავრი შესასვლელის საპირისპირო მხარეს, დასავლეთ კედელთან მდებარეობდა „არონ-ჰა-კოდეში“, შემაღლებული ადგილი, წარმოდგენილი ორი კორინთული სვეტითა და ნახევარსფერული მცირე გუმბათით. „არონ-ჰა-კოდეშის“ ასეთი კონსტრუქცია მსგავსია ბიბლიაში აღწერილი იერუსალიმის პირველი ტაძარისა[15] და თითქოსდა მის მაკეტს წარმოადგენდა.

---

14. შვიდტოტიანი შანდალი - იუდაიზმის ერთ-ერთი უძველესი რელიგიური ატრიბუტი. ბიბლიის თანახმად, მენორა თავდაპირველად მდებარეობდა სკინიაში, შემდგომ იგი გადაიტანეს იერუსალიმის ტაძარში .

15. იგივე სოლომონის ტაძარი (ებრ.: בית המקדש, ბეითჰამიკდაშ). ბიბლიურად იგი არის პირველი ებრაული ტაძარი იერუსალიმში, რომელიც ასრულებდა ლოცვებისა და მსხვერპლშერწირვის უმთავრესი ადგილის დანიშნულებას. ტაძარი აიგო ძვ.წ. X საუკუნეში; ბაბილონელებმა იგი გაანადგურეს ძვ. წ. 586 წელს.

ნახევარცილინდრული კამარებით დაფარული შუა ნავი ფსევდორომანული აფსიდით სრულდებოდა. აფსიდს ჰქონდა მგალობელთა გუნდისთვის განკუთვნილი, ორსართულიანი კლუატრი[16]

გვერდითა ნავები შუა ნავისგან იყოფოდა 2/3 სიგანის ორიარუსიანი თაღედით, რომელიც ქალთა გალერიაში გადახურული ყოფილა ცილინდრული კამარებით.

ვარშავის სინაგოგაში მამაკაცებისთვის განკუთვნილ სამლოცველო დარბაზში სკამები განლაგებული იყო გრძივი კედლების გასწვრივ, ხოლო კორინთულ სვეტებიან ქალთა გალერეაში გრძელი, რამდენიმე ადგილიანი სკამები ამფითეატრის პრინციპით ყოფილა დადგმული.

შუა ნავის აფსიდის ადგილზე ყოფილა თაღი, კორინთული კაპიტელებიანი გლუვი სვეტებით წარმოდგენილი, როგორც იაქინისა და ბოაზის[17] სიმბოლო.

საკურთხევლის თაღსა და გუნდის თაღედებს შორის მოთავსებული ყოფილა მანტრა[18]: „ისმინე, ისრაელო, უფალი ჩვენი ღმერთია, ღმერთი - ერთადერთი“. წარწერაში, სადაც ორჯერ არის ნახსენები ღმერთის სახელი - JHWH[19], მიუღებელი

---

16. „Cloître“ - ფრანგულად, ლათინურად - „claustrum“, „Chiostro“ - იტალიურად, გერმანულად - „Kreuzgang“ - ტიპურად დამახასიათებელია რომანული და გოთიკური არქიტექტურისათვის და წარმოადგენს დახურულ გალერეას. როგორც წესი, კლუატრი განთავსებულია ნაგებობის კედლის გასწვრივ და შესაბამისად, მისი ერთი კედლი ყრუა, ხოლო მეორე წარმოდგენილია სვეტებზე დაყრდნობილი თაღების რიგით - არკადებით ან კოლონადებით.

17. იერუსალიმის პირველი ტაძრის (იგივე სოლომონის ტაძარი) ნართექში მდგარი ორი სპილენძის ან ბრინჯაოს 2.4 მეტრიანი სვეტი. ბოაზი იდგა მარცხნივ, ხოლო იაქინი მარჯვნივ. სვეტების კაპიტელები გაფორმებული იყო სტილიზებული ლილიებით, რომლებიც ასევე სპილენძისაგან იყო დამზადებული.

18. მანტრა (სანსკ. मन्त्र mantra „საფიქრელი“) - ინდუისტური სალოცავი ფორმულა, ძირითადად მოკლე, რამდენიმე სიტყვის შემცველი გამონათქვამი სანსკრიტულ ენაზე. მანტრა მიმართულია რომელიმე ღვთაებისადმი და მის განსადიდებლად წარმოითქმის. მანტრების უმეტესობა მარცვალი აუმ-ითი წყება, მაგალითად ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მანტრაა შივასადმი მიმართული:aum namah shivaaya „აუმ, თაყვანისცემა შივას!“

19. იეჰოვა (ებრაული יהוה ; ინგ. YHWH) არის ისრაელის ღმერთის საკუთარი სახელი თანახში (ძველი აღთქმა, წმინდა წერილების სათაური, მიღებული ივრითში. სიტყვა „თანახი“ არის აბრევიატურა, შედგენილი თანახის სამი ნაწილის პირველი ასოებიდან: თორა, ებრ. תּוֹרָה , ნევიიმი, ებრ. נביאים, კეტუვიმი, ებრ. כתובים. ტერმინი გაჩნდა შუასაუკუნეებში,

ებრაელი თეოლოგების შრომებში). თანახში, ღმერთის სახელი წერია იმ მოვლენის აღწერაში (ბიბლია, გამ. 20:2,3), როცა მან თავის ხალხს წარუდგინა ათი მცნება და უთხრა:

אנכי **יהוה** אלהיך אשר הוצאתיך מארץ מצרים מבית עבדים“
”לא יהיה־לך אלהים אחרים על־פני

გერ. „Ich bin JHWH, dein Gott, der ich dich aus dem Land Ägypten, aus dem Sklavenhaus, herausgeführt habe.Du sollst keine anderen Götter haben neben mir.“

ქართულად (გერმანულიდან თარგმანი ჩემს მიერ) - „მე ვარ იაჰვე თქვენი ღმერთი, რომელიც თქვენ ეგვიპტის მიწიდან გამოგიყვანთ, მონობის სახლიდან. არ გყავდეთ სხვა ღმერთი ჩემს წინაშე“.

შენიშვნა: იმ რამდენიმე მუხლში, სადაც მოსეს ათი მცნებაა ჩამოთვლილი (ბიბლია, გამ. 20:2-17), ღვთის სახელი რვაჯერ გვხვდება.

აღმოჩნდა ვარშაველი ებრაელების უმეტესობისთვის. ვინაიდან, ებრაელებს ეკრძალებოდათ ღმერთის სახელის დაწერაც და წარმოთქმაც, მას წერდნენ შემოკლებით, ორჯერ „J“ ასოთი ანუ „JJ“.

ვარშავის დიდ სინაგოგაში იყო 2200 დასაჯდომი ადგილი: აქედან, 1150 მთავარ დარბაზში, 1050 კი ქალთა გალერეაში.

ვარშავის დიდი სინაგოგა, გამორჩეული ყოფილა მდიდარი და ძვირფასი სარიტუალო ნივთებითაც; განსაკუთრებით აღსანიშნავია ნათანსონების ოჯახის მიერ შეწირული სინაგოგის „სჯულის კიდობანი“, რომელიც დამზადებული იყო სპეციალურად ლიბანიდან ჩამოტანილი კედარის ხისაგან[20]. კიდობანს ფარავდა შესანიშნავი წითელი და თეთრი ქსოვილის ფაროხეთი, რომელზეც მრავლად იყო ოქროსფერი და ვერცხლისფერი ძაფით შესრულებული ნაქარგობა.

ბემის წინ იატაკზე, კვადრატულ ნაწილებად, დაგებული ყოფილა ფერადი ხალიჩა, მასზე ამოქარგული პაპროცკის (ანტონიო ეიზენბაუმის შვილიშვილი) ინიციალებით.

ნიშის ზემოთ, სადაც „სჯულის კიდობანი“ იყო მოთავსებული, ყოფილა გუნდის შესასვლელი და მცირე გალერეა.

---

20. მცხეთაში, წმინდა ნინოს ლოცვით აღმართული „სვეტი-ცხოველი“ ასევე ლიბანის კედარის იყო. ვფიქრობ, სამომავლოდ, საინტერესო გამოსაკვლევი საკითხი იქნება ის, თუ რა დატვირთვა აქვს ლიბანის კედარის ხეს ქრისტიანულ და იუდეველთა რელიგიაში და რა პარალელები იძებნება ამ კუთხით.

სინაგოგაში ყოფილა ბიბლიოთეკისთვის განკუთვნილი ცალკე ოთახი. ვარშავის ძველი სინაგოგის მდიდარ ბიბლიოთეკაში ინახებოდა ძალზედ ღირებული, იშვიათ გამოცემად მიჩნეული წიგნები, უნიკალური ხელნაწერები, ასევე ე.წ. „ძეგლად ქცეული წიგნები“ და სხვადასხვა ქრონიკები, დაწერილი რაბინების - ბუჩაჩას, როგატინასა და სხვათა მიერ.

ვარშავის ძველი სინაგოგის პოპულარობას განაპირობებდა აგრეთვე, საქვეყნოდ ცნობილი მომღერალთა გუნდი, რომელიც ორღანისა და სხვადასხვა ინტრუმენტების თანხლებით ასრულებდა მუსიკალურ ნაწარმოებებს. ამასთან დაკავშირებით, 1922 წელს მეჩისლავ ორლოვიჩი წერდა: „მზის ჩასვლისას, მსახურების დროს (სინაგოგაში შესვლა ქრისტიანებისთვისაც ნებადართულია), მამაკაცები ქუდებით შედიან მთავარ დარბაზში, ხოლო ქალები გალერეაში, ორღანის აკომპანიმენტის თანხლებით, კარგი გუნდის სიმღერების მოსასმენად“.

აღსანიშნავია, რომ ვარშავის დიდი სინაგოგა არ ყოფილა მხოლოდ რელიგიური მსახურების ჩატარების ადგილი; აქვე იმართებოდა სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის შეხვედრები, მაგალითად, პოლონეთის დამოუკიდებლობის მოპოვებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა და შემდგომ კი 3 მაისს დამოუკიდებელი პოლონეთის კონსტიტუციის მიღება; ასევე, ახალი სასწავლო წლის დაწყების საზეიმო ღონისძიებები, სამგლოვიარო და სადღესასწაულო ხასიათის შეკრებები.

1909 წელს, სინაგოგის წინ მოეწყო ხეებითა და სხვა მცენარეებით გამწვანებული სკვერი, რომელიც რკინის ღობით ყოფილა შემოსაზღვრული.

ვარშავის დიდი სინაგოგის ინტერიერის გამორჩეულობასა და მშვენიერებაზე, ევა მალკოვსკა წერდა: „უახლოვდებოდი თუ არა სინაგოგის დიდი დარბაზის შუა ნაწილს, თვალში გხვდებოდა წითელი და თეთრი ფაროხეთი, რომელიც ოქროსფერად და ვერცხლისფერად იყო ნაქარგი. დიდ ზემოქმედებას ახდენდა კედარის თაღები, საკურთხეველის მარმარილოს წარწერიანი ფილები, სასანთლეები და ნათურები. ყოველივე ეს კი რელიგიური ადგილის ნამდვილ შთაბეჭდილებას ტოვებდა - გრძნობდი, რომ სალოცავში იმყოფებოდი“[21].

სინაგოგას რეკონსტრუქცია პირველად XX საუკუნის 20-იან წლებში ჩაუტარდა;

---

21. Małkowska Ewa, Synagoga na Tłomackiem, Wydawnictwo Naukowe PWN, Warszawa, 1991

გარემონტდა სახურავი, განახლდა გვერდითი ფასადები, მათი ფრონტონები და მთავარი შესასვლელის კიბეები. ნაგებობის განახლებით სამუშაოებს ხელმძღვანელობდა მავრიკ გროძენსკი. სამუშაოების დასრულების შემდეგ, სინაგოგის კედელზე ჩამოკიდეს სამახსოვრო დაფა, სადაც აღნიშნული იყო რეკონსტრუქციის განხორციელების თარიღი. 1938 წელს კვლავ გადაწყდა ნაგებობის განახლება, რომლის დასრულებაც ვერ მოხერხდა.

XX საუკუნის დასაწყისში ვარშავა ხდება პოლონელი ებრაელების კულტურულ-სოციალური ცხოვრების მთავარი ცენტრი; 1918-1939 წლებში ვარშავაში ფუნქციონირებდა სათემო სტრუქტურები, იბეჭდებოდა პერიოდული გამოცემები ივრითზე, იდიშსა და პოლონურ ენებზე, აქტიურ საქმიანობას ეწეოდა ებრაელთა პოლიტიკური პარტიები სიონისტური მოძრაობიდან დაწყებული ცენტრალური მთავრობის (Bund) ჩათვლით და მონაწილეობას იღებდნენ ქვეყნის შიდა პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში; არსდება ებრაული სკოლების ფართო ქსელი, სადაც სწავლება მიმდინარეობდა ივრითსა და იდიშზე, თუმცა ბავშვების უმეტესობა ვარშავის საჯარო სკოლებში სწავლობდა. 1938 წლისთვის ვარშავში ცხოვრობდა 368 ათასი ებრაელი (მოსახლეობის საერთო რაოდენობის დაახლოებით 29%).

1939 წლის 29 სექტემბერს ვარშავაში შედის ნაცისტური გერმანიის ჯარები და გერმანიის ხელისუფლება იწყებს ანტიებრაული ზომების გატარებას; გამოიცა ბრძანება ებრაელთა ქონების კონფისკაციის, მათ მაღაზიებსა და ტანისამოსზე სპეციალური ნიშნების გამოსახვისა და იძულებითი შრომის თაობაზე. ამ დროისთვის ვარშავაში დაახლოებით 400 ათასი ებრაელი ცხოვრობდა.

1940 წლის 2 ოქტომბერს ნაცისტებმა გამოყვეს ქალაქის ერთი ნაწილი და შექმნეს ვარშაველი და პოლონეთის სხვა პროვინციებში მცხოვრები ებრაელებისგან გეტო; ხოლო ვარშავის დაცემამდე რამდენიმე დღით ადრე იუდენრატის თავმჯდომარედ დანიშნეს ინჟინერი ადამ ჩერნიაკოვი. ადამ ჩერნიაკოვი, ებრაელ, სხვა საზოგადო მოღვაწეებთან ერთად ყველა ზომებს ხმარობდა, შეემსუბუქებინა გეტოში ებრაელთა ცხოვრების პირობები (იეშივებში მალულად კვლავ ხორციელდებოდა თალმუდის შესწავლა).

1940 წლის ბოლოს ებრაელმა ისტორიკოსმა ემანუელ რინგელბლუმა დაარსა ისტორიული და ლიტერატურული საიდუმლო საზოგადოება, რომლის მთავარი მიზანი იყო შეეგროვებინათ პოლონელი ებრაელების ცხოვრებისა და წამებით სიკვდილით დასჯის ამსახველი საარქივო მასალები (აღნიშნული საარქივო მასალების გამომზეურება მოხდა მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ)[22].

22. მას მერე, რაც გერმანიამ პოლონეთი შეიერთა, 1941 წლის 22 ივნისს კი თავს დაესხა საბჭოთა კავშირს, ნაცისტების ხელში აღმოჩნდა ებრაელებით კომპაქტურად დასახლებული ტერიტორიები – პოლონეთი, ბალტიისპირეთი, უკრაინა და ბელორუსია. დაპყრობილი ტერიტორიების მსხვილ ქალაქებში ნაცისტებმა დაიწყეს ებრაული გეტოების ანუ ისეთი დასახლებული ზონების შექმნა, სადაც იძულების წესით თავს უყრიდნენ ებრაელებს, არაებრაელი მოსახლეობისგან მათი იზოლაციის მიზნით. პირველი გეტოები ჯერ კიდევ 1939 წელს შეიქმნა პოლონეთის ქალაქებში. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, ნაცისტების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე 800-დან 1000-მდე ასეთი გეტო იყო შექმნილი და მათში 1 მილიონზე მეტი ებრაელი იყო იზოლირებული. პოლონეთის ტერიტორიაზე თავმოყრილი იყო ყველაზე დიდი გეტოები, მათ შორის – ვარშავის (450 ათასი იზოლირებული ადამიანი) და ლოძის (204 ათასი იზოლირებული ადამიანი) გეტოები. 1942 წლის ივლისში დაიწყო ვარშავის გეტოდან ტრებლინკის სიკვდილის ბანაკში ებრაელების მასობრივი დეპორტაცია. 1942 წლის 13 სექტემბრამდე სიკვდილის ბანაკებში დეპორტირებული იქნა და დაიღუპა 300 ათასი ვარშაველი ებრაელი.

დღესდღეობით ებრაელები ნაცისტების მიერ უშუალოდ ებრაელი ხალხის გეგმაზომიერი განადგურების პოლიტიკას და ამ პოლიტიკის საფუძველზე განხორციელებულ ქმედებებს აღნიშნავენ ებრაული სიტყვით „შოა“[23], რაც „კატასტროფას“ ნიშნავს და „ჰოლოკოსტზე“ ბევრად უფრო კორექტულ სიტყვად არის მიჩნეული.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდი ვარშავის დიდი სინაგოგისთვისაც ტრაგიკული აღმოჩნდა.

23. ისრაელის კატასტროფისა და ჰეროიზმის ინსტიტუტის, “იად ვა-შემ”-ის კრიტერიუმებით, შოას მსხვერპლად მიიჩნევიან ადამიანები, რომლებიც ნაცისტური რეჟიმის პირობებში ცხოვრობდნენ ნაცისტების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე და განადგურებული იქნენ მასობრივი დახვრეტების ადგილებზე, ბანაკებში, გეტოებში, ციხეებში, თავშესაფრებში, ტყეებში. ამავე კატეგორიას განეკუთვნებიან ადამიანები, რომლებიც ორგანიზებული ან არაორგანიზებული წინააღმდეგობის გაწევის დროს დაიღუპნენ, ასევე – პარტიზანული მოძრაობის, იატაკქვეშა მოძრაობის, აჯანყების მონაწილეები და ადამიანები, რომლებიც თავის გადარჩენის მიზნით საზღვრების არალეგალური გადაკვეთის და გაქცევის დროს ნაცისტების, ადგილობრივი მოსახლეობის და ნაცისტების მოკავშირეთა ხელით დაიღუპნენ. შოას მსხვერპლთა შორის არიან ის ებრაელებიც, რომლებიც დაბომბვის და 1941-42 წლების ევაკუაციის დროს, ასევე გერმანიის შეიარაღებულ ძალებთან და მათ მოკავშირეებთან პირდაპირი შეტაკების დროს დაიღუპნენ.მიუხედავად იმისა, რომ შოას მსხვერპლთა რაოდენობა, ტრადიციულად მიღებული მონაცემებით, 6 მილიონია, მსხვერპლთა სრული სია დღემდე არ არსებობს და ვარაუდობენ, რომ ის გაცილებით მეტი უნდა იყოს.

1940 წელს ვარშავის გეტოს დაარსების შემდეგ, გერმანელებმა დაიწყეს შენობების ნგრევა, რომლებიც მდებარეობდნენ ქალაქის კვარტლებსა და გეტოს საზღვარზე.

1941 წლის მეორე ნახევრისთვის სინაგოგა უკვე ძლიერ დაზიანებული იყო; სახურავიდან წყალი ჟონავდა, დაზიანებული იყო სვეტების კაპიტელები და არქიტრავები, სარიტუალო თუ სხვა დანიშნულების ნივთების დიდი ნაწილი გაძარცვული იყო, ნაწილი განადგურებული, სინაგოგის მთავარი სიწმინდე - სჯულის კიდობანი იატაკზე ეგდო.

1941 წლის 20 მაისს, გერმანიის ხელისუფლებამ, ებრაელებს უფლება მისცა სამი სინაგოგის გახსნის, მათ შორის იყო ვარშავის დიდი სინაგოგაც. 27 აპრილს ადამ ჩერნაკოვმა მოიწვია კომიტეტის წევრები სინაგოგის სარემონტო სამუშაოებისა და შემდგომ მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსური რესურსის შესაგროვებლად. მცირე დროში, ფაქტობრივად ერთ თვეში, ჰასქალთა მოძრაობის წევრთა და ებრაულ თემთა ერთსულოვნებით, მოხერხდა თანხის მობილიზებაც და სინაგოგის აღდგენაც. 1941 წლის 31 მაისს, შაბათს, შავუოთის[24] დღესასწაულის წინ ჩატარდა პირველი მსახურება, ხოლო 1 ივნისს მოეწყო აღდგენილი სინაგოგის საზეიმო გახსნა, რომლის რეაბილიტაციას საკმაოდ სოლიდური თანხა მოხმარდა. სინაგოგაში თორა პირადად ადამ ჩერნიაკოვმა შეაბრძანა. 19 ოქტომბერს, აღდგენილ სინაგოგაში მუსიკალური კონკურსიც კი გაიმართა. თუმცა, სინაგოგის აქტიურმა ფუნქციონირებამ დიდხანს არ გასტანა.

1942 წლის 30 მარტს ჰაინც აუერსვალდის დავალებით სინაგოგა დაიხურა, გასაღები კი გერმანელ ე.წ. წესრიგის დამცველებს გადაეცათ. სინაგოგა გადაიქცა ოკუპირებული ჩეხეთიდან გადმოყვანილი ებრაელების დისლოკაციის ადგილად.

ამავე წელს გერმანელებმა მოახდინეს გეტოს იმ მოედნის შემცირება, სადაც სინაგოგა მდებარეობდა. ასე ეტაპობრივად მზადდებოდა სინაგოგის განადგურების

---

24. ივრითზე - შავუოთი, ქართულად - კვირები. ეს სახელწოდება მომდინარეობს იმ რამდენიმე კვირიდან, რომლებიც ფესახის (პასექის) დღესასწაულის შემდეგაა. ის უკავშირდება ისრაელთა ერის გამოსვლას მიცრაემიდან (ეგვიპტიდან). შვიდკვირიანი პერიოდი მთავრდება 6 სივანის (მესამეთვე) დადგომისთანავე. აქედან გამომდინარე, ზუსტად ფესახის (პასექის) დღესასასწაულის შემდეგ ორმოცდამეათე დღეს აღინიშნება შავუოთი (ეგვიპტიდან გამოსვლის დღიდან და ისრაელერზე თორის გადაცემის დღემდე, ზუსტად ორმოცდაათი დღე გავიდა). სიტყვა „შავუოთს“ კიდევ ერთი მნიშვნელობა აქვს - ფიცი/ფიცები.

სტრატეგიაც; ნაგებობის დიდ სამლოცველო დარბაზში, ებრაელთა ოჯახებიდან ნაძარცვი ნივთებითა და ქონებით სავსე, ავეჯის, მაღაზია მოეწყო. მაღაზიას ხელმძღვანელობდა ვარშავის გეტოს, უძრავი ქონების მართვის მწარმოებელი, კომისარი კარლ ნაბე.

1943 წლის 16 მაისს, ვარშავის გეტოს აჯანყების ჩახშობის შემდეგ, ვარშავის დიდმა სინაგოგამ არსებობა შეწყვიტა. ვარშაველ ებრაელთა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რელიგიურ-იდეოლოგიური თავშეყრის ადგილი და მულტიფუნქციური ნაგებობა, ზუსტად, 20 საათსა და 30 წუთზე პირადად გენერალ გრენ შტროპის მიერ საჯაროდ და „საზეიმოდ“ იქნა აფეთქებული, როგორც ებრაელების გეტოს ლიკვიდაციის საბოლოო აქტის სიმბოლო.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, ვარშავის ხელისუფლებამ დაიწყო სინაგოგის აღდგენის საკითხის განხილვა; ამას ადასტურებს, ჯერ კიდევ 1939-1944 წლებში ყოფილი მერის, იულიანა კულსკის მოსაზრება: „ნაგებობა შესისხორცებული იყო ომამდელი ქალაქის პეიზაჟს“. მალევე დაიწყო ნანგრევების დემონტაჟი, თუმცა მრავალი წლის მანძილზე ტერიტორია ცარიელი იყო.

1950 წელს ქალაქის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, სინაგოგის ადგილზე, ცათამბჯენის მშენებლობისა (მოგვიანებით ამ მრავალსართულიან ნაგებობას „ლურჯი ცათამბჯენი“ ეწოდა). თუმცა, მშენებლობა მრავალი წელი გაგრძელდა. 1976 წელს აღიმართა მხოლოდ ნაგებობის ფოლადის ჩონჩხი, მოპირკეთებული ოქროსფერი, ძალიან თხელი ლითონის ფირფიტებით და მშენებლობის კვლავ შეჩერებამ, გამოიწვია მეტალის დაჟანგვა. 1980 წელს, ადგილობრივ პრესაში გამოქვეყნებული ინფორმაციაზე დაყრდნობით, გაგრძელებულა მშენებლობა. ნაგებობის გადაკეთებული პოდიუმის ფორმები მიანიშნებდა ყოფილ, დიდ სინაგოგას.

მრავალსართულიანი ნაგებობის მშენებლობა დასრულდა 1991 წელს.

2004 წელს, ებრაულ რელიგიურ საზოგადოებას, კომპენსაციის სახით, გადაეცა შენობის სამი სართული (XVIII, XIX, XX სართულები), სადაც განთავსდა ებრაელთა სხვადასხვა უწყების ოფისები და მოეწყო ებრაელთა ისტორიის ინსტიტუტის დროებითი ექსპოზიცია.

ცათამბჯედი მდებარეობს არამხოლოდ სინაგოგის ძველ ადგილზე, არამედ მას უკავია სამლოცველოს წინ გაშენებული ბაღის ტერიტორიაც.

ერთადერთი სინაგოგა ვარშავაში, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელ

ნაცისტებს გადაურჩა ნოჟიკის სინაგოგაა[25].

სწორედ კლასიციზმის სტილის, ვარშავის ძველი, დიდი სინაგოგა, გახდა ონის სინაგოგის აღმშენებლისთვის „მისაბაძი“ მაგალითი. თუმცა, საერთო რაც ამ ორ ძეგლს ეძებნება და ის მოსაზრება, რომ „ონის სინაგოგა ვარშავის სინაგოგის ანალოგია“ - მდგომარეობს ინდენტურ არქიტექტურულ სტილსა და ნაგებობის ადგილ-მდებარეობის შერჩევაში (ონის სინაგოგაც ხომ ქალაქის ცენტრში, ებრაელთა უბანში დგას), ძეგლების სივრცესთან და გარემოსთან მიმართებაში (ონის სინაგოგაც აბსოლუტურად შეესაბამება სივრცეს, დომიმატია სხვა ნაგებობებთან შედარებით) და ფასადების უხვ მორთულობაში, რაც ვარშავის სინაგოგის მსგავსად, ონის სინაგოგაშიც თვალშისაცემია და მნახველის ყურადღებას იპყრობს.

ვარშავის ძველი, დიდი სინაგოგა გამოირჩეოდა არქიტექტურული სრულყოფილებით და ზოგადი კომპოზიციური სტრუქტურის კარგად გააზრებული წყობით; იგი ნათლად წარმოაჩენდა კლასიციზმის სტილის მთავარ დამახასიათებელ თვისებას - ანტიკური ხუროთმოძღვრების ფორმებთან მიბრუნებას, როგორც ჰარმონიის, ე.წ. „უბრალოების“, სიმკაცრის, ლოგიკური სიმარტვისა და მონუმენტურობის ეტალონისკენ.

25. დღემდე ერთადერთი მოქმედი სინაგოგაა ვარშავაში. სინაგოგა 1902 წელს ააგო ებრაელმა მეცენატმა ზალმან ნოჟიკმა და სწორედ ამიტომ ეწოდა მისი სახელი. მეორე მსოფლიო ომის დროს, გერმანელ ნაცისტებს, სინაგოგაში მოწყობილი ჰქონდათ ცხენების სადგომი.

გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი:

1. ბიბლია, თბილისი, 1989, საქართველოს საპატრიარქო
2. Балабан М. Еврейские исторические памятники в Польше: (Введение в историю еврейского искусства в Польше), Еврейская старина,1909. № 1. С. 55–71.
3. Дубнов С. М. Краткая история евреев, Ростов-на-Дону, Феникс, 2000
4. Электронной еврейской энциклопедии, АССОЦИАЦИЯ ПО ИЗУЧЕНИЮ ЕВРЕЙСКИХ ОБЩИН В ДИАСПОРЕ, Еврейский университет вИерусалиме, Иерусалим, 2003-2007
5. Краткая еврейская энциклопедия, Изд. О-ва по исследованию еврейских общин., Иерусалим, 1976-2005
6. Соболев Д. М. Евреи и Европа, Москва, 2008
7. Bergman Eleonora. „Nie masz bóżnicy powszechnej“ Synagogi i domy modlitwy w Warszawie od końca XVIII do początku XXI wieku. Warszawa, Wydawnictwo DiG, 2007
8. Małkowska Ewa, Synagoga na Tłomackiem, Wydawnictwo Naukowe PWN, Warszawa, 1991
9. Zunz, Der Ritus des synagogalen Gottesdienstes, Берлин, 1859

გამოყენებული ინტერნეტ რესურსების და ბეჭდური მედიის ჩამონათვალი:

Биография Моисея Мендельсона

https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%9C%D0%B5%D0%BD%D0%B4%D0%B5%D0%BB%D1%8C%D1%81%D0%BE%D0%BD,_%D0%9C%D0%BE%D0%B7%D0%B5%D1%81